№ 72 აპრილი 8, კვირა 1890 აპრილი 8, კვირა № 72


| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

ქვრივი კნეინა მარიამ დავითის ასული აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გარდაცვალებულ თ. ილია ალექსანდრეს ძის ჯავახოვის ორმოცის წირვა და პანაშვიდი იქმნება გადახდილი ორშაბათს, 9 აპრილს, 11 საათზედ, ს. ხოვლეს.

სურათებიანი

„ვეფხის-ტყაოსანი"

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილია პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

სასწავლებელი და პანსიონი სფ. ბესარ. ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

ზაფხულშიაც მიიღებს შეგირდებს მოსამზადებლად გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის. (10—3)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ძალისა გამო, თავად-აზნაურთა კრების დადგენილობისა 18 მაისიდგან 1889 წლისა, განაცხადებს, რომ ამა მდგომარე წლის რვა მაისისათვის ქალაქ ქუთაისში დანიშნულია არა ჩვეულებრივი კრება ქუთაისის თავად-აზნაურთა. ამა კრებამ უნდა მოისმინოს მოხსენება კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამა კრების საქმეებისა და ფულის შესავალ-გასავლის წარმოების გადახედვა და 1889 წლის თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივ კრების დადგენილობათა შედეგის შეტყობა. (3—3)

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების მე-82 §-ის ძალით 1890 წლის 12 აპრილს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საერთო კრება წევრთა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ, ქ. ტფილისს.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1889 წლის განმავლობაში;

2) მოხსენება ბანკის მართველობისა საეარაუდო ხარჯთა ალრიცხვაზედ 1890 წლისათვის;

3) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნენ ხოლმე ამიერიდგან არჩეულნი დამფასებელნი;

4) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ როგორ შეიცვალოს წესდების მე-82 §-ი, რომელიც მართველობის წევრთა და ბანკის მსახურთა %-ობით დაჯილდოვებას შეეხება;

5) მოხსენება იმის გამო, რომ შევსებულ იქმნას წესდების მე 26, 27, 28, 29 და 53 §§-ი და ბანკს ნება დაერთოს ხუთ სარგებლიან გირავნობის ფურცელთა გამოცემისა;

6) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ როგორ განაწილდეს საყოველთაო საჭიროებისათვის 35% წმინდა მოგებისა;

7) მოხსენება ბანკის სადგომზედ მეორე სართულის აშენების შესახებ.

და 8) არჩევანი: ზედამხედველ კომიტეტის ერთის წევრისა, ნაცვლად გ. ს. განძიელისა; მართველობის ერთის წევრისა, ნაცვლად თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილისა, და ამ თანამდებობის ორის კანდიდატისა; დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, ნაცვლად თ. ლ. ჩერქეზიშვილისა და ვ. სულხანიშვილისა, და იმათის ორის კანდიდატისა,—რომელნიც რიგრიგამებრ ანებებენ თავს სამსახურს. (7—6)

ტფილისი, 7 აპრილი

დღეს აქამომდე არ გათავებულა და დიდხანს კიდევ სალაპარაკო იქნება ის ამბავი, რომ ბისმარკი დაეთხოვა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, დაითხოვეს და გადააყენეს. დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ ეგრედ წოდებულ „სამთა კავშირს"—იტალიისას, ავსტრიისას და გერმანიისას—სძლე შემოაწუდა და მათ შუა რაღაც ადგილას ხიდი ჩასტყდა. მოკავშირენი, რასაკვირველია, გულს არ იტეხენ და იფიცებიან, რომ ჩვენ შორის ისევ ის სიყვარულია, ისევ ის მეგობრობა, როგორც ბისმარკის დროსაო, მაგრამ გულში-კი იძახიან, ეს რა ცუდი საქმე გვეწია და უბისმარკოდ როგორ გავძლოთო. მართალიც არის: ბისმარკი სული და გული იყო ამ კავშირისა და გარდა ამისა ციხე-ბურჯიცა. ეხლა საქმენი ხელთ იგდო ახალგაზდა იმპერატორმა, რომელიც ყველასათვის ჯერ კიდევ ამოცანაა. ეს გამოუცნობელი კაცი, რომელიც იძახის, რომ ბისმარკი ისტორიაა და მე ახალი დრო ვარო, არც თითონ ისვენებს და არც სხვას ასვენებს. ყველანი ჰფრთხიან, ყველანი ჰშიშობენ და ვერავის ვერ გამოუცვნია, ხვალინდელი დღე რას გამოატყვრენს.

ამ ფრთხოლასა და შიშში ყველა თავის თავისათვის ჰფიქრობს ცალკე და აქედ-იქით იყურება, აბა ან ვინ მოვიმხრო, ან ვის მივემხრო, რომ ხვალის განსაცდელმა არსად მომიწყვდიოს უამხანაგოდ და უშწეოდო. თითონ თავმოწონებული, გათამამებული გერმანიაც-კი თითქო ამ შიშს აუტანია. ბევრი ნიშნებია, რომ ეხლანდელი პოლიტიკა გერმანიისა მოწადინებულია საფრანგეთს მოუტკბილდეს და ამასთანავე რუსეთის გულიც, ბისმარკისაგან ცოტად თუ ბევრად ნატკენი, ისევ მოინადიროს იტალია და ავსტრია ამას ჰხედვენ და ესენიც თავის მხრით არაფერს არა ჰზოგვენ, რომ გერმანიისაგან თავ-მინებებული მარტონი არ დარჩნენ ევროპაში. იტალია ცხადად იჩენს სურვილს, რომ საფრანგეთი დაიმეგობროს. მთავარ-მინისტრი კრისპი, რომელიც ბისმარკის იმედით დღეს აქამომდე ქედ-მაღლობით ექცეოდა საფრანგეთს და არაფრად აგდებდა, დღეს ლამის ფეხ-ქვეშ გაუგორდეს. პრეზიდენტი საფრანგეთისა კარნო სამხრეთ საფრანგეთს წავიდა სანახავად და დასათვალიერებლად და იტალიის მთავარ-მინისტრმა კრისპიმ ნიშნად პატივის-ცემისა და მეგობრობისა მთელი ესკადრა გაჰგზავნა,

## ფელეტონი

### უკანასკნელი სიმღერა

(მოთხრობა ჟორჟ ონესი)

დიეპპის ქალაქის კოშკზე საათმა ათი დაჰკრა. აგუადოს ქუჩაზე ერთის სახლიდგან ორი ქალი გამოვიდა. წინ მოდიოდა ყმაწვილი, წერწეტა ქალი, რომელსაც გაბადრულს პირი-სახეზე და შავ-თვალ წარბზე ძლიერ უხდებოდა პირის ფერი, წითელი კაბა. უკან მოსდევდა შავ-კაბიანი მოხუცი ქალი. ხელში ეჭირა ორი ქოლგა და ბინოკლი.

— რა საუცხოვო დარია, გარიეტო!

მოხუცმა ადამიანმა, რომელსაც ეტყობოდა აღმზრდელი უნდა ყოფილიყო, თავი გაიქნია, მუჯლუგუნი წაჰკრა მოწაფესა და ნავთსადგურისკენ გაემართა. დაწყნარებული ზღვა ოქროსფრად ბრიალებდა. დღეც მშვენიერი მზიანი იყო, მხოლოდ ორი პატარა ღრუბელი მოჩანდა ცაზე. ზღვიდგან ნელი ნიავი უბერავდა და სასტუმროზე ამართულს დროშებს აფრიალებდა.

ჩვენი მგზავრები ფეხ-აჩქარებით მიდიოდნენ. „ხელმწიფის სასტუმროს" რომ გაუსწორდნენ, წინ ვილაც ახალგაზდა კაცი შეეხეთ, რომელიც ღრმად ჩაფიქრებული და თავ-ჩაღუნული მოდიოდა. უცნობმა ბოდიში მოითხოვა, კედლისკენ მიიწია და ქალებს გზა დაუთმო. ლაპარაკის კილოზე შეეტყო, რომ უცხოელი უნდა ყოფილიყო.

ყმაწვილმა ქალმა ხმა იცნო და გაოცებულმა ორიოდე სიტყვა წამოიძახა. ვაჟმაც, შეხედა თუ არა, მაშინვე იცნო:

— დეზი, თქვენა ბრძანდებით!?

—სტენიო!.. აღელვებით წარმოსთქვა ქალმა, მივარდა, ხელი წაავლო და ჰკითხა: თუ ღმერთი გრწამს, ჯერ ჩემის დის ამბავი მითხარით. სად დასტოვეთ? როგორ არის? ოჰ, გონება აღარა მაქვს... თქვენ თუ აქა ბრძანდებით, ისიც ხომ აქ იქნება. ჩემო მეგობარო სტენიო, გთხოვ, ჩქარა მაჩვენე ჩემი და, ჩემი საყვარელი მოდი. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემის დის ნახვას ველირსე. ძლივს მომეცა შემთხვევა, რომ ერთხელ კიდევ მოვეხვიო და გადავკოცნო ჩემი საყვარელი მოდი.

— დეზი, ჩემო დეზი, ძლივსღა აჰერხებდა სტენიო ხმის ამოღებას. ყმაწვილ კაცს ერთბაშად მოეღრუბლა ჰკვიანი, მაღალი შუბლი, რომელიც სარკესავით მოჩანდა ხუჭუჭ თმასა და შავს-თვალ წარბს შუა. ისეთ ნაირად აღელდა, როგორც ზღვა გრიგალისაგან. ცრემლები გადმოსცვივდა და ხმა აუკანკალდა.

მოხუცებული ადამიანი აქამდის გაშტერებული შესცქეროდა ქალ-ვაჟს, მაგრამ ეხლა-კი თითონაც ჩაერია ლაპარაკში.

— საყვარელო დეზი, გთხოვ... უთხრა მოხუცმა და შუაში ჩაუდგა მოსაუბრებს. დაგავიწყდა, რაც მამამ გიბძანა? ეს ამბავი რომ გაიგოს, ხომ... არა, ეს არ შეიძლება. თუ შენ არ გესმის, ამ ყმაწვილმა მაინც უნდა იცოდეს, რომ ასე არ იქნება.

მოხუცებულმა თვალები გადმოკარკლა, აღელვებისაგან ქშინვა მოუხშირა და იმ გვარად დაიღრიჯა, რომ კაცს შეეცოდებოდა.

დეზიმ შუბლი შეიჭმუხნა, კოპები შეიკრა და განრისხებით უთხრა:

— ყური მიგდეთ, გარიეტ, კარგად იცით, რომ მიყვარხართ და გამგონეცა ვარ თქვენი, მაგრამ დღეს სულ სხვაა... ჩემი და... ხომ ჰხედავთ, რომ საქმე ჩემს დას შეეხება. აქ ლაპარაკი რაღა საჭიროა?

ცრემლ-მორეულმა მეტი ველარა სთქვა-რა.

გამვლელ-გამომვლელები გაკვირვებულნი უყურებდნენ მოხუც ადამიანს, რომელსაც თვალ-ცრემლიანი ყმაწვილი ქალი ელაპარაკებოდა. იქვე იდგა ახალგაზდა გაფითრებული კაციც. აღმზრდელი საშინლად ჯიუტობდა და მუნჯივით თავს იქნევდა. ბოლოს ხმა ამოიღო:

— მამათქვენმა რომ მიბრძანა?..

— მე რომ გთხოვ! მსწრაფლად მიაძახა დეზიმ. გარიეტ, ეხლავე უნდა გადასწყვიტოთ, ჩემს მხარეს დაიჭერთ, თუ მამიჩემისას. მოიგონეთ, მალ-მალე რომ მეუბნებოდით ხოლმე, თავს არ დაგანებებო. რომ გათხოვდები, წამოგყვები და შენს შვილებს მოვუვლიო. თუ დღეს არ მომყვებით, გარიეტ, და სურვილს არ შემისრულებთ, ძლიერ მაწყენინებთ. ჩვენს შუა ძაფი გაწყდება სამუდამოდ.

— დეზი, წაიბუტბუტა გამზრდელმა და ტირილი დაიწყო. დეზი, შენის გულისთვის ყველაფერს გავბედავ. თუნდა სიცოცხლესაც შემოგწირავ, მაგრამ აბა ეხლა რა გიყო? ლორდმა რომ გაიგოს, რას მეტყვის?

— მე თითონ მოველაპარაკები მამაჩემსა... მაშ ესე, მეთანხმები, გარიეტ... ოჰ, რა ნაირად მიყვარხარ, ჩემო კეთილო მოხუცო.

დეზი გადაეხვია აღმზრდელსა და ალტაცებით დაუწყო კოცნა.

— თავის დღეში არ დამავიწყდება შენი სიკეთე... დარწმუნებული ვარ აგრეთვე, რომ არც სტენიო მარაკჩი დაივიწყებს თქვენს პატივისცემას.

უცხოელმა დეზის მიჰმართა და უთხრა:

— თქვენ გნებავთ თქვენი და ნახოთ? ნახავთ, მაგრამ ის ის მოდი აღარ არის, როგორიც ადრე იყო. სრულებით გამოიცვალა, ძლიერ ავად არის საწყალი.

— განა საშიშოდ არის ავად? ჰკითხა დეზიმ.

— დიახ, მიუგო მარაკჩიმ.

დეზიმ საშინლად ამოიოხრა და გულ-დაწყვეტილი სასტუმროში შებრუნდა. გარიეტი და მარაკჩიც თან შეჰყვნენ. იმათ უნდოდათ, ისე შესულიყვნენ ოთახში, რომ არავის დაენახა, რადგანაც სტენიოსთან ყოფნას ერიდებოდნენ, მამამ არ შეგვიტყოსო. მაგრამ შეყვეს თუ არა თავი ეზოში, მოაჯირზე ვილაც ახალგაზდა ქალი დაინახეს, რომელიც მონოზანს ელაპარაკებოდა. ყომრალს ტანსაცმელსა და თეთრს თავ-სახურავზე ეტყობოდა, რომ მონოზანი ავადმყოფის მოსავლელად იყო მოწვეული. უცხო ქალმა იცნო დეზი და გაოცებით წამოიძახა:

— ეს რა ამბავია? მისს მელივანი და მარაკჩი ერთად არიან!

შეშინებული დეზი აილეწა, შეშფოთდა, მაგრამ ფეხს აუჩქარა და უცნობ ქალს გასცდა.

სტენიომ კარები გაუღო და ყველანი შინ შევიდნენ.

მონოზანი შეჩერდა, თვალი გაადევნა და როცა კარი მოხურეს, ზეცას ალაპყრო თვალი და გაჭიანურებით წარმოსთქვა:

— ოჰ, ღმერთო, რა ბედი მოუვათ საწყალ ჩვენ ობლებს, მარაკჩიმ რომ თავის სახელი კონცერტის აფიშაზე გამოგვაცხადებინოს.

— დაო ელისაბედ, იცით ვინ არის მარაკჩი?

რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მიეგებოს და დაჰხვდეს. ამბობენ, ეს ასეთი პატივის ცემაა იტალიისაგან საფრანგეთისა, რომ ამის შემდეგ ამ ორის სახელმწიფოს ერთმანეთთან დამეგობრება ძალიან ადვილი საქმეაო. რა იტალია? ისპანიაც-კი აჭყოლია თითქო იტალიის მაგალითსა და ამასაც ესკადრა გაუგზავნია, რომ პრეზიდენტს კარნოს ისპანიის პატივისცემა გამოუცხადოს.

თითონ კარნოს მოგზაურობა საფრანგეთის სამხრეთს ადგილებში არ უნდა იყოს უმნიშვნელო მაშინ, როდესაც, გაზეთების სიტყვით, ინგლისის მთავარ-მინისტრი სალისბერი ნიცცაში იმყოფება და, მაშასადამე, შესაძლებელია ფარულად ეს ორი სახელმწიფო საქმეთა კაცნი ერთმანეთს ეჩვენნენ და გამოეხმაურონ. რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის დანახულია საჭიროება ერთმანეთთან დაახლოებისა, ეს სხვათა შორისაც იქიდამა სჩანს, რომ ხელახლად გაიმართა ამ ორთა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება ეგვიპტის გამო. ყველამ იცის, რომ თუ ცოტად ერთმანეთზე შემომწყრალნი არიან ინგლისი და საფრანგეთი, ამისი მიზეზი ის არის, რომ ეგვიპტეზე ინგლისმა ხელი დააბანინა საფრანგეთსა და ბისმარკის წყალობითა და წაქეზებით თითონ მარტოკა გაჰბატონდა. ეხლა ბისმარკი აღარ არის და აი ინგლისიც, ხვალინდელის დღის უიმედო, იძულებულ გახდომილა საფრანგეთი აქ როგორმე შეირიგოს და ამ მხრით ერთი ცოტად და თუ ბევრად ძლიერი მიზეზი ერთმანეთთან დაშორებისა მოსპოს.

თითონ გერმანიის იმპერატორიც, ცოტა არ იყოს, სცდილობს საფრანგეთს გაუნელოს მტრობა და ასე თუ ისე მისი გამწარებული გული მოატკბილოს. საფრანგეთის სახელოვანი კაცი ჟიულ სიმონი, რომელიც თავის ქვეყნის წარმომადგენლად გაგზავნილ იყო მუშათა საქმის კონფერენციაზედ ბერლინში, ისე ალტაცებული და კმაყოფილი წავიდა გერმანიის იმპერატორისაგან, რომ მეტი არ იქნება. ბევრს მოეცათ გული საფრანგეთში მას შემდეგ, რაც ჟიულ სიმონმა ამცნო თვისი ნახული და გაგონილი გერმანიაში. არ გასულა მასუკან ბევრი ხანი, რომ გერმანიის მთავრობისაგან გაუქმებულ იქმნა ელზას-ლოტარინგიაში „პასპორტობა“, შემოღებული ბისმარკისაგან მარტო იმისათვის, რომ საფრანგეთის კაცს თავისუფალი მსვლელობა არა ჰქონოდა ამ ახლად დაჭერილ გერმანიისაგან ქვეყნებში და მით ეს ქვეყნები დაეშორებინა საფრანგეთისათვის, რომელსაც თვით ეს ელზას ლოტარინგია დღეს აქამომდე თავის სამშობლო ქვეყნად ჰხადის და სიყვარულით ეტანება.

ამ სახით ვხედავთ, რომ უბისმარკობა საფრანგეთისათვის სახეიროდ გამოდგა. საფრანგეთი წინ წამოდგა და თითქმის ყველასათვის სანატრელი გახდა იმ მხრით, რომ ყველანი იმის ამების ცდაში არიან. როგორ გამოიყენებს საფრანგეთი ამ ბისმარკის ბედნიერ გარემოებას, ამას დრო გამოაჩენს. ჩვენკი დღეს მარტო ამას ვიტყვით, რომ ამ დღევანდელ ყოფას საფრანგეთისას ბევრი რამ ცვლილება უნდა მოჰყვეს ევროპის პოლიტიკაში და ვინ იცის, იქნება გუშინდელი მეგობრები დღეს მტრებად გადიქცნენ და მტრები კიდევ მეგობრებად.

## ახალი ამბავი

*** პირველ აპრილს, აღდგომას, ლიტონიაზე ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში ამოაცალეს ჯიბიდამ ანნა ევრეინოვას, ტომით რუსს, ოცი მანეთი ფული. ქალს ფულის შინ დატოვებისა შეჰშინებოდა, არავინ გამიტეხოს სახლიო, და თან წამოეღო. როდესაც ხელსახოცისთვის ჩაიყო ჯიბეში ხელი, ნახა, რომ პორტმანი აღარა აქვს, შემოეყარა გულს და კინაღამ უგონოდ ძირს დაეცა. ეისთვის მიემართნა იმოდენა ხალხში, არ იცოდა და იძახდა მხოლოდ, სულ უკანასკნელი ჩემი საცხოვრებელი და სარჩენი ის ფული იყოვო. აი ეთივე საქმე დაჰმართეს ამავე ეკკლესიაში ერთ მკერვალ ქალს. იმასაც რამდენიმე მანეთი ამოაცალეს ჯიბიდამ პორტმანიანად ზედ შობა დღეს წირვაზედ.

*** ტფილისის კადეტის კორპუსის მეშვიდე კლასის მოწაფეებს გაუთავდებათ სწავლა 14 აპრილს და შემდეგ დაეწყობათ უკანასკნელი ეგზემენები, რომელიც გათავდება 25—28 მაისს. თიბათვეში ყმაწვილებს გაისტუმრებენ ზანაკად მანგლისში.

*** მიწის მზომელთა სასწავლებელში სწავლა გათავდება 13 აპრილს. 17 აპრილიდგან-კი დაეწყობათ ეგზამენები, რომელიც გათავდება 19 მაისს. მაისის გასულს შეგირდებს წაიყვანენ გამბორზე, სადაც პირველ აგვისტომდე იქნებიან.

*** აქამდის კავკასიის მაჰმადიანებს სპარსეთსა და ოსმალეთში წასასვლელ პასპორტისას მხოლოდ ათ შაურს ახდევინებდნენ და ამას იქით საზოგადო წესდებისამებრ იმათაც ათ-ათი მანათი უნდა იხადონ.

*** გზათა მინისტრი ა. ი. გიუბბენეტი აგვისტოს დამლევს კავკასიაში აპირებს მოსვლას, რათა სურამის გვირაბის კურთხევაზე დაესწროს.

*** თელავი: თელავის მაზრის სოფლებში, სადაც სკოლებია დაარსებული, ამ ორი-სამის წლის წინად ასეთი წესი იყო შემოღებული სასკოლო ფულის მოკრეფისა: სოფელს სკოლის ფული სახელმწიფო ხარჯთან ერთად შეჰქონდა ხაზინაში და მასწავლებელიც ხაზინიდგან იღებდა თთვე და თთვე ჯამაგირს. შემდეგ შემოიღეს სხვა წესი. სკოლის ფულს სოფლის მოხელენი ჰკრეფდნენ და პირდაპირ მასწავლებელს აბარებდნენ. მაგრამ სოფლის მოხელეებიცა და სოფელიც ძალიან ნაკლებად იღებდა თავს ამ ფულის შესაკრებად. მასწავლებელი ამის გამო ხშირად რამდენსამე თთვეს და მთელს წელიწადსაც უჯამაგიროდ იჯდა. მასწავლებლების გაჭირებულს ყოფას მიაქცია ყურადღება ახლა სასოფლო სკოლების მთავრობამ და ფულის კრება კვლავ ძველებურის წესით დაიწყეს. ერთი თთვეა აგერ, რაც თელავის სოფლებმა, სადაც სკოლებია გამართული, მიიღეს „ოკლადნოი ლისტები“, რომელშიაც სახელმწიფო ხარჯთან ერთად მოხსენებულია სასკოლო ხვედრი გარდასახადიცა.

*** სურამი: აღდგომამ მშვიდობიანად და წყნარად ჩაიარა ჩვენს დაბა სურამში. არავითარი ჩხუბი და აყალმაყალი არა ყოფილა. მთელმა სამმა დღემ ქეიფობითა და სიმღერა-ცეკვით გაიარა. მხოლოდ ეს კია, რომ ხაშურიდამ საქეიფოდ ამოსულმა კონდუქტორებმა კინაღამ ცოდო დაატრიალეს... [sic: დააბრუნეს] დროსა და ქეიფის გატარების შემდეგ რიცხვით რვა კაცმა მოინდომა ციხეზე ასვლა და კიდეც აასრულეს თავიანთი სურვილი. ავიდნენ იქ, გამართეს ლხინი და დაიწყეს თამაშობა, მაგრამ მალე-კი ჩაშხამდათ და ლხინი ტირილად გადაექცათ. თამაშობის დროს ისე სწრაფად შემოტრიალდა ერთი მოთამაშე, რომ თავი ველარ შეიმაგრა და გადმოვარდა დასავლეთის მხარეს, ხუთის საჟენის სიმაღლიდგან. საწყალმა თავ-პირი მთლად დაიმტვრია, სხვა დაშავება არაფერი შემჩნევია იმ ხანად. პირდაპირ ფეხზედამ დაეშვა შურდულივით ძირს, ბევრი ატოტინა ხელები, მაგრამ ვერაფერს მოაელო, რომ თავი შეემაგრებინა და შემაგრიყო. ამხანაგებმა მაშინვე ჩასვეს ეტლში და გააქანეს ექიმთან. ექიმმა რკინის გზისამ ყინული დაუნიშნა, მაგრამ საუბედუროდ ვერ იშოვეს, თუმცა აფთიაქიც არის აქ. ამხანაგებმა ამას არ დააჯერეს, მოიყვანეს კიდევ ექიმი და ექიმმა თავის ხელით გაუკეთა წამლები. გათენებისას თავ-პირი დაუსივდა და, როგორც ზოგიერთებმა თქვეს, სის...

---

— მაგას, ბატონო, მთელი ქვეყანა ისე იცნობს, როგორც ლისტსა და რუბინშტეინს.

— მართალია, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, რაც ცოლი ავად გაუხდა, სცენაზე აღარ გამოდის. ამას წინად ვენაში უარი სთქვა და ხელმწიფის კონცერტში მონაწილეობა არ მიიღო, თუმცა ფრანც-იოსები მაგისი დიდი მფარველია.

— ხელმწიფეს რომ უარი უთხრა, იქნება ჩვენ დაგვეთანხმდეს, რადგანაც კონცერტი ღარიბ ობლების სასარგებლოდ არის დანიშნული.

— ერთად-ერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლიან დაითანხმოს, არის...

— დიაღ, უთუოდ დეზი მელივანი მოახერხებს მაგას. მერე რა კარგი იქნება! ბილეთის ფასი შეიძლება 40 ფრანკი დავნიშნოთ. მთელი დარბაზი გაივსება ხალხით და 3,000 ფრანკი ნაღდი დაგვრჩება.

ელისაბედმა გულ-ხელი დაიკრიფა და რაღაც ლოცვა წაიბუტბუტა.

II

მარაკჩი უპირველესი ჰიანურის დამკვრელი იყო. როცა მისი ზეგარდმოცხებული ნიჭი შეიძროდა ხოლმე, ეშხით გატაცებული მარაკჩი სასწაულსა სჩადიოდა თავის ქამანჩით. თითების სიმარდესთან ერთად მაღალი შემოქმედი ფანტაზიაცა ჰქონდა მინიჭებული. მისი საკუთარი ჰანგები მეტად ნაზი და გრძნობით სავსე იყო.

მარაკჩის ქამანჩა რომ ხმას აღძრავდა, მსმენელის თვალ-წინ ბუნების სხვა-და-სხვა სურათი იხატებოდა. ხან გადაიშლებოდა დუნაის მწვანით მოსილი მინდვრები, ხან სოფლის დღეობა თავის ცეკვა-თამაშითა და მხიარულებით. ხმას შესცვლიდა ქამანჩა, და, მსმენელს წარმოუდგებოდა სასტიკი ომი, ზარბაზნის ჰექა-ქუხილი, ხმლისა და აბჯრის ჟღერა-წკრიალი და სხვ... მთელის ვენგრიის გლოვას, სიხარულსა და გმირობას მარაკჩის ჰიანური გამოსთქვამდა. ეს იყო მიზეზი, რომ სტენიოს დიდი სახელი გაუვარდა როგორც სამშობლოში, ისე მთელს ევროპაშიაც. ყველა მოხიბლა, ვისაც-კი თავისი ჰანგები გააგონა.

მარაკჩი იყო პეშტის სასახლის მგალობელთ უხუცესის შვილი და მიიღო კარგი სწავლა-განათლება, განსაკუთრებით-კი მუსიკა ისწავლა. პირველად ყურადღება მაშინ დაიმსახურა, როცა ვენაში ხელმწიფის კონცერტზე თავის მამის საგალობელი დაუკრა: „O, salutaris“.

იმ საღამოს დიდად გააკვირვა მსმენელნი. ამის გამო იმ ზამთარს კარგად წავიდა მისი საქმე. მარაკჩის სილამაზე და ნიჭი მეტად ჰხიბლავდა ქალებს. სულ ოცის წლისა იყო, მაგრამ დარბაისელის კაცის სახე ამშვენებდა და ბრწყინვალე შავი თვალები იმ გვარის ეშხითა ჰქონდა სავსე, რომელიც მხოლოდ აღმოსავლეთის კაცს მოეპოვება.

ვენელი ქალები გიჟდებოდნენ მარაკჩის სილამაზით. სტენიო საყვარელი გახდა ავსტრიის დიდ-კაცობისა. დატრიალდა თუ არა იმათში, თითონაც მალე შეითვისა დიდ-კაცური ზნე-ჩვეულება. მიხვრა-მოხვრა და ქცევა სწორედ ისეთი ჰქონდა, როგორიც დიდ-კაცებს შეეფერება.

არც შოვნა უძნელდებოდა ფულისა და არც ხარჯვა. ღარიბი და შეუძლებელი თავის დღეში უმოწყალოდ არ დაბრუნდებოდა მარაკჩის სახლიდგან. მხოლოდ თუ ვინმე დიდ-კაცი მიიწვევდა სახლში ჰიანურის დასაკვრელად, სტენიოს თავ-გამოდებას საზღვარი არა ჰქონდა.

სამშობლოში მოპოვებულმა სახელმა ვერ დააცხრო მარაკჩის თავ-მოყვარეობა. უნდოდა მთელის ევროპის სათაყვანებელი გამხდარიყო დაამიტომ პარიჟში წავიდა. დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ იქ შეიძლებოდა დიდის სახელის შეძენა. ყველა ამ ნაირი საქმე პარიჟიდგან დაიწყება ხოლმე და მერე სხვანიც ალაპარაკდებიან.

პარიჟის გამჭრიახე საზოგადოებამ მაშინვე შეამჩნია მარაკჩის მაღალი ნიჭი და დიდის პატივისცემით მიეგება.

პირველად მარაკჩი გამოვიდა საზაფხულო ცირკში. აქ მან დაუკრა თავის შეთხზული „გონვედების მარში“. კალმით ვერ აიწერება, რა მოახდინა სტენიოს ოსტატურმა ჰიანურის დაკვრამ. მთელი დარბაზი ფეხზე დადგა, მოართო ტაშის კვრა, ბრავოს ყვირილი და ისეთი ამბავი ასტეხა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო.

ძლიერ მალე მოიხვეჭა სახელი პარიჟის საზოგადოებაში. ზოგიერთმა გაზეთებმა მოინდომეს დაემცირათ სტენიო, მაგრამ ნიჭიერი მემუსიკე ისე ამაღლდა უცბად, რომ გაზეთის რეცენზია ველარ შესწვდებოდა.

ათის წლის განმავლობაში მდიდარი, ახალგაზრდა სტენიო ევროპაში მოგზაურობდა და თავის ზეციურს ჰანგებს ჰფენდა ყველგან. ყოველ წლივ მკათათვიდგან მოკიდებული ღვინობისთვემდის მარაკჩი სადღაც იმალებოდა. მაშინ იმის ჰიანურს ველარავინ გაიგონებდა. სწორედ იმ დროს გაუსხლტებოდა ხოლმე საზოგადოებას, როცა იმის ქება-დიდებით ქვეყანა ალაღანდებოდა; ისე უცრივ დაიმალებოდა, როგორც მოწყვეტილი ვარსკვლავი. გაზეთები ასტეხდნენ ყაყანს, თუ სად იმალება არტისტიო, მაგრამ ვერაფერს გაიგებდნენ ხოლმე იმისას. სტენიოს სამალავი იყო საკუთარი მამული პეშტს ახლო. თავის მამასთან მოვიდოდა ხოლმე და განცხრომას ეძლეოდა. ეს დრო დასასვენებლად ჰქონდა გადადებული. თავის ჰიანურს თავს ანებებდა და კლასიკურ მუსიკასა სწავლობდა. რადგანაც მამას ბეტჰოვენი, მოცარტი და ვებერი უყვარდა, სტენიოც იმათ თხზულებას უკრავდა. საგულისხმიერო სანახავი იყო, როდესაც მამა ისე ეპყრობოდა სტენიოს, როგორც ახალგაზდა მოსწავლეს. ზოგიერთა ხმას რამდენჯერმე გაამეორებინებდა ხოლმე, რადგანაც ეგონა, ღირსეულად ვერ დაუკრაო. უბრალო სახლში, რომლის სამკაულიც მხოლოდ ძველი ავეჯი და ფანჯრებში გადმოშლილი ყვავილები იყო, ისეთს ჰანგებს უკრავდა, რომ სხვა დროს ათასობით თაყვანის-მცემელს შეიძენდა იმითი.

დადგებოდა თუ არა შემოდგომა, მარაკჩი ვენაში ამოჰყოფდა თავსა და იქიდგან ევროპას მოედებოდა.

ოც და ათის წლისა შესრულდა, სახელი, სიმდიდრე შეიძინა და ჯერ არ ენახა, რა იყო გაჭირება.

გამოჩენილმა ბერნსტეიდტმა ურჩია, ამერიკაში წასულიყო, და წასვლის წინად რამდენიმე კვირა ინგლისში მოინდომა გაეტარებინა.

უელსის პრინცმა, რომელიც დიდს პატივსა სცემდა მარაკჩის, შოტლანდიაში მიიწვია. უნდოდა დედოფლისათვის ესიამოვნებინა, რადგან დედოფალს არ ენახა ჯერ სტენიო.

პატიჟის წერილები მხოლოდ მაღალის საზოგადოების წარმომადგენელთ დაურიგდა. ამიტომ მარტო რჩეული საზოგადოება შეიკრიბა კონცერტზედ.

დარბაზში დიდი მდუმარება იყო, მაგრამ როდესაც სტენიო გამოვიდა თავის ჰიანურით, ქალების ტუჩების წმაწუნამ მდუმარება მალე დაარღვია. არტისტი შეკრთა და თავ-ჩაღუნულმა ოდნავ გაიღიმა.

ქამანჩა გაჰკრა სიმებს და მეაკომპანიმენტეს შეატყობინა, მზადა ვარო. პირველად თავის პიესა დაუკრა, რომელსაც „უკანასკნელი სიმღერა“ დაარქვა. ქამანჩის ქვეშ ჰიანური ატირდა და მოისმა დაღონებული ხმა სევდებ-შემოწოლილის გულისა, რომელიც საიქიოს ეთხოვება. მსმენელს მხიარული წარსული გაუელვებდა თვალ-წინ და შემდეგ ეხატებოდა დაღონებელი სურათი მწუხარებით სავსე აწმყოსი. უსულო ჰიანური-კი არ იყო ესა, თვით მრავალ-ტანჯული გული მოსთქვამდა თავის ვაებასა და სიცოცხლეს ესალმებოდა. თავ-დახრილი და წამწამ-დაშვებული მიჰყრდნობოდა ჰიანურსა და თავის ჰანგებით გატაცებული ყურს აღარავის უგდებდა. ის იყო პიესა თავდებოდა, უკანასკნელი ხმები-ღა იყო დასაკრავი... მაგრამ, ღმერთო, რა ხმები იყო! აი ერთხელ კიდევ უნდა ეთქვა ჰიანურს ანგელოზთ გუნდის საგალობელი, მაგრამ არ დააცალეს. ვიღამაც საშინლად ამოიოხრა და სხვებს სმენა დაუშალა. სტენიომაც თვალი შემოავლო გაკაშკაშებულს დარბაზს. იქვე ახლო, მის წინ, პირველ რიგში ვიღაც ახალგაზდა ქალი იჯდა, რომელსაც მღელვარებისაგან სახე დაღრეჯოდა და მღელვარება გადმოსდიოდა. გულ-ხელ დაკრეფილი ქალი მდუმარედ იჯდა, თითქოს ჩუმად ლოცულობსო. საქაო აღარ ახსოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლიც ელებინებინა. არავინ იცის როგორ გადარჩება და როგორ გაუვლის ეს ხიფათი საბრალო კონდუქტორს.

*** ფოთი:* ორი წელიწადი მეტია, რაც ბ-ნ ნოდიასაგან გაიმართა აქ ქართულის წიგნების მაღაზია, მაგრამ ამ მაღაზიაში მოიძებნება მხოლოთ სახელმძღვანელო ქართული და რუსული წიგნები. დღეს თუ ხვალ ფოთში გაიმართება ქართულ წიგნების „ბიბლიოტეკა", სადაც ყოველ გვარი წიგნები იქნება საკითხავად. წიგნების კითხვა ძლიერ იაფ ფასად იქნება გადაწყვეტილი.

*** იქიდამვე:* ფოთის ოთხ-კლასიანს საქალაქო სასწავლებელში ქართულის სწავლება გადავარდა და იმის მაგიერ შემოღებულ იქმნა მეგრული, თუმცა სკოლაში ბევრია მოსწავლეთა შორის იმერლები და გურულები, რომელთათვისაც აუცილებლად საჭიროა ქართულის სწავლება. ამას გარდა გადავარდა ფრანგული და შემოღებულ იქმნა მუსიკა. ფრანგულის სწავლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის შვილებისათვის, რადგანაც ფოთი სავაჭრო და ზღვის სანაპირო ქალაქია, სადაც თუმცა დღეს ძალიან გაჩაღებული არ არის ვაჭრობა, მაგრამ მაინც დიდ-ძალი უცხოელი ვაჭარი ხალხი იმყოფება, ისეთი ვაჭარი ხალხი, რომელსაც ფრანგულისა და თავის დედა-ენის მეტი ძვირად ეყურება სხვა ენა. თუმცა ასეა დღეს ჩვენის სკოლის საქმე, მაინც ყველა თანაგრძნობით შესცქერის და ვისაცკი შეუძლიან, არაფერსა ჰზოგავს მისთვის, როგორც გუშინაც შევატყობინეთ.

**** სალიანიდგან სწერენ გაზ. „კასპის": ამ ერთი კვირის წინად რამდენმამე აქაურმა მცხოვრებელმა ერთი პატარა თათრის ქალი ძალად გააუპატიურეს. საწყალ ქალისთვის მეორე სოფელში ძმა მოეკლათ და იმის ამბის შესატყობლად წასულიყო. სალიანს რომ მიახლოვდა, ერთ თავის ნაცნობთან უნდოდა თურმე მისვლა, მაგრამ შეცდომით ერთს დუქანს წაადგა და იქ იკითხა, ამა-და-ამ კაცის სახლი სად არისო. დაინახეს თუ არა პატარა გოგო, ცხრა კაცი გამოვარდა დუქნიდგან, ეცნენ და ძალად გააუპატიურეს. საცოდავის წივილ კივილზედ მოირბინა ვიღაც აბდულ-ალამ, ძლივს გამოჰგლიჯა ხელიდგან გამხეცებულს ხალხს ცოცხალ მკვდარი გოგო და წაიყვანა თავის სახლში. ავაზაკები დაპატიმრებულნი არიან.

**** გაზ. «ახალ მიმოხილვას» სწერენ ფოთიდგან: 18 მარტს ქალაქის მმართველობის შენობაში ფოთის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების წევრთა კრება იყო. მართველობის დირექტორებად ამოირჩიეს ა. ა. სიანია და ო. თურქიანი; საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს: ე. ვ. მეიერი, ს. ვ. კირილოვი, ა. თ. მელიქ-აივაზოვი, ი. თ. თურქია და თ. თეოფილაქტო; სარევიზიო კომისიის წევრებად: ა. თურქიანი, ა. ხოშტარია და კ. ჯაჯიკია. დამტკიცებულ იქმნა 1890 წ. ანგარიში. დაჯილდოებულ იქმნენ საქმის მწარმოებლები. დივიდენდიდგან, რაც წესდებისამებრ გადადებულ იქმნა ფოთის მოსწავლე ობლებისათვის, იმას გარდა კიდევ წმ.ოლღას საქალებო სასწავლებლის ღარიბ ქალების სასარგებლოდ შესწირეს 100 მანეთი. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ საზოგადოებას 1889 წელს უწარმოებია 15, 251,141 მან. და 90 კ., 1888 წლისაზე 3.243,281 მანეთით და 58 კ. მეტი. წარმოების მომატების მიზეზი ისა ყოფილა, რომ „საზოგადოებას" სხვადა-სხვა სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებასთან ურთიერთობა ჰქონია. საანგარიშო წელს გამოურიცხავთ თავის მოვალეობის რიგიანად აუსრულებლობის გამო 15 წევრი. იმავე წლის ყოველს ას მანეთზე 11 მ. და 69 კ. დივიდენდი რჩება. სათადარიგო თანხა 15,627 მანათია და ძირის თანხა 71,400 მ.

**** გაზეთ «Кавказъ»-ი ამბობს, რომ 12 აპრილს ქუთაისში მიდის საგანგებო სესია სამხედრო სამსჯავროსი. სამხედრო სამსჯავრომ უნდა გაასამართლოს აზნაური დათუნაიშვილი, რომელსაც ჰბრალდება, რომ იარაღით წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას და მოჰკლა კიდეც ერთი პოლიციის მოხელეო. თავ-მჯდომარედ იქნება გენერალ მაიორი გროდკოვი, ბრალმდებელად სამხედრო პროკურორი პოლკოვნიკი შჩერბოვიჩი-ვეჩორი.

## უცხოეთი

გერმანია. „მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლიანო, ნათქვამია იმ წერილში, რომელიც გუშინ მოვიხსენიეთ: მოსპოს ნაკლულევანებანი ეხლანდელის ცხოვრებისა და რეფორმების წყალობით დაიცვას ჯან-საღიანობა საზოგადოებისა. ეს სარეფორმატორო მოღვაწეობა თანაბარის სიმართლის დასამყარებელი მოღვაწეობაა, მსგავსი იმ მოღვაწეობისა, რომელიც იტვირთეს პრუსიის მეფეებმა მე-XVIII საუკუნეში იმ გლეხთა და ქალაქის მოხელეთა სასარგებლოდ, რომელიც მაშინ უფრო უძლურნი და ულონო იყო შეძლებით, ეკონომიურად. როგორც მაშინ ასეთმა რეფორმამ უშველა საზოგადოებას, მეტი სისხლე მისცა მის ჯანსა და უზრუნველ ჰყო მშვიდობიანობა, რაკი მიიღო ლონის ძიებანი ტანჯულთა სასარგებლოდ, ისე ეხლაც სამეფო ტახტის მიერ დაწყებული სარეფორმატორო მოღვაწეობა საჭირო და ნაყოფიერ მოღვაწეობად უნდა მივიჩნიოთ როგორც მუშათა ბედნიერებისათვის, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებისათვის.

„ეჭვი არ არის, რომ ის ღონისძიებანი, რომელიც მიიღო მთავრობამ ჩვენში მუშათა უზრუნველ-ყოფისათვის ავადმყოფობაში, მუშაობაში ხიფათისა და ფათერაკის გამო დაშავების დროს, ან იმ შემთხვევაში, როცა სიბერის გამო კაცს აღარ შეუძლიან მუშაობა, ბევრს სიკეთეს შესძენს მუშა ხალხს, რადგან ამ გვარი ღონისძიებანი სპობენ დღევანდელის საეკონომიო ყოფა-ცხოვრების უწესოებასა და უსამართლობას. მაგრამ ეს კანონები ჯერ კიდევ საკმაო არ არის, რომ უზრუნველ-ყოფილ იქმნას მორიგება მუშათა და სამუშაოს პატრონთა შორის ეხლანდელ წარმოებაში. მორიგებას ხელს უშლის ერთის მხრით ის, რომ მუშანი მეტის-მეტსა თხოულობენ, იმასა, რის დათმობაც არ შეიძლება წარმოების დღევანდელის ვითარებისა გამო, და მეორეს მხრით ისა, რომ უმეტეს ნაწილს დიდის სამუშაოს პატრონებისას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ისინი მოვალენი არიან ისე უცქეროდნენ მუშებს, როგორც თავიანთ ტოლებსა და უფლებით თანაბართა.

„ყოველ ამის გამო მისმა უდიდებულესობამ იმპერატორმა და მეფემ საჭიროდ დაინახა გულ-დადებით გამოეკვლია ჩივილი და დრტვინვა ეკონომიურად შეჭირვებულთა და ტანჯულთა და მეფურის ძალით გამოსარჩლებოდა იმათს სამართლიანს სურვილს. დედაკაცებისა და ყმაწვილების მუშაობა, ღამ-ღამე და კვირაობით, დიდი ხანია ალაპარაკებს გაცხარებით სოციალ-დემოკრატიას და საბუთს აძლევს ეხლანდელის საეკონომიო წესების კიცხვისასა და კილვისას. ამ საქმეების განხილვას და წესში მოყვანას ამ ჟამად უკვე შეუდგა სახელმწიფო საბჭო და აგრეთვე მუშათა კონფერენცია. დაჩა რიგში მოსაყვანი საქმე შრომის ფასისა და თვით შრომის ხანგრძლივობისა დღე და ღამის განმაელობაში. რაც ამ ორს საქმეში შესაძლებელია და საჭირო გასაკეთებლად, შეუძლიანთ გააკეთონ თვით სამუშაოს პატრონთ. ამ საქმის გაკეთებას გაუადვილებს იმათ, როგორც სარეფორმატორო მიმართულება ჩვენის პოლიტიკისა, ისე ის დაწესებულებანიცა, რომელნიც დაარსებულნი იქნებიან მუშათა და სამუშაოს პატრონთა შორის მორიგების ჩამოსაგდებად და მუშათა კანონიერ სურვილთა დასაკმაყოფილებლად.

„ზრუნვა იმპერატორისა და მეფისა მეოთხე წოდებისათვის დრომ და ჟამთა-ვითარებამ მოიტანა. მეფენი ჰო-

---

მთელი იმის არსება, ზეციურის ჰანგებით აღფრთოვანებული, პოეზიის უსაზღვრო სამფლობელოში დაჰფრინავდა. ციური ანგელოზის ხმა ეალერსებოდა იმის სმენას და გამოუთქმელს სიამოვნებას ჰგრძნობდა იმისი გული. უმეტესი ნეტარება აღარ იქნებოდა, მხოლოდ ის-ღა იყო სანატრელი, რომ ეს ნეტარება გახანიერებულიყო, საუკუნოდ აღარ დასრულებულიყო.

ჰიანური შესწყდა და ტაშის გრიალი მოისმა. ბევრნი მიეიდნენ სტენიოსთან და გამარჯვება მიულოცეს.

ქალმა იგრძნო, რომ ვიღამაც ხელი მოჰკიდა და ჩასძახოდა:

— მოდი, ქალო, რა დაგემართა?

დავიწყებაში წასულმა თვალები გაახილა, გამოფხიზლდა და მწარე ღიმილით შეჰხედა თავის დას, რომელიც მხარზე დაყრდნობოდა.

— ოჰ, დეზი, რომ იცოდე, რა შორს ვიყავი წასული!

არტისტს ქალები შემოეხვეოდნენ და ქებით ამკობდნენ. სტენიოც თავმდაბლად, მაგრამ ღირსების შეუბღალავად მადლობას უხდიდა. მცირე ხანს შემდეგ ქალებს მოშორდა და პრინცთან ერთად მოდისკენ წამოვიდა.

— მის მელივან, ჩემი მეგობარი მარაკჩი ნებასა გთხოვს, სალამი მოგართვას.

მოდიმ გაუგებრად რამდენიმე სიტყვა წაიბუტბუტა. გულში რაღაც მწვავე ცეცხლი მოსდებოდა. როცა კარგად გამოფხიზლდა, არტისტი უკვე წასულიყო და ხელ-ახლად ჰიანურის დაკვრას აპირობდა. ისევ ის ციური ხმები, ისევ ის ჰანგები, და მოდის კიდევ თავ-ბრუ დაესხა. მთელი ეს საღამო იმისთვის ერთიანი ტკბილი სიზმარი იყო.

მარაკჩის მხოლოდ რამდენიმე კვირა უნდოდა ინგლისში დარჩენილიყო, მაგრამ ძლიერ გაება. ამერიკის გაზეთებმა ჯერ ლაპარაკი დაიწყეს, არტისტი დაიგვიანებსო, შემდეგ-კი, როცა იმედი გადასწყვიტეს, გამოაცხადეს, რომ სრულებით არ მოვაო.

სტენიო ძლიერ გაერთო ინგლისში. ბევრჯელ უარი გამოაცხადა კონცერტებში მონაწილეობის მიღებისა; თითქოს სცდილობდა, დაევიწყებინა, რომ ხელობით არტისტი იყო. ბევრს მოგზაურობდა, ქალალდსა თამაშობდა, ცეკვავდა, ერთის სიტყვით, ისეთს ცხოვრებას ატარებდა, როგორც ლორდი. მარაკჩის ჰიანურს ადვილად ველარავინ გაიგონებდა ხოლმე. დიდი ცდა და ღონე უნდა ეხმარა კაცს, რომ სტენიოსთვის ჰიანური აღებინებინა ხელში. ქალები თუ გაბედვინებდნენ ხოლმე, ნამეტნავად-კი მოდი, თორემ სხვა ვერავინ. იმისი თხოვნა სტენიოსთვის ბძანება იყო. მაშინვე აიღებდა ჰიანურსა და გულს აატოკებდა. თითქო იმასა სცდილობდა, რომ თავის გულის დარდები სულ მსმენელისთვის გადაეცა. მოდი აღფრთოვანდებოდა ხოლმე და სტენიოს გამოეკიდებოდა, მისდევდა იქით, საითაც-კი ჰიანური მიჰფრინავდა.

წარჩინებული მარკიზი მელივან გრეი მდივანად მსახურებდა ზღვის სამხედრო უწყებაში. მარაკჩი რომ მიეიდა ინგლისში, ძლიერ კარგად მიიღო და ირლანდიაში მიიწვია, თავის სასახლეში. უნდოდა მაღალის საზოგადოებისათვის წარედგინა, რომ ყურადღება დაემსახურებინა იმის წინაშეც.

დაქვრივების შემდეგ მელივანს ორი პატარა ქალი დარჩა. იმათი აღზრდამოვლა ერთ ღვთისნიერსა და სათნო მოხუცს ადამიანს მიანდო და ამით გაათავა თავისი მამობრივი მზრუნველობა. მაღალის გვარის შვილი იყო და თავი მოსწონდა. ვერ წარმოედგინა, თუ მარაკჩი, რომელიც, თუმცა გენიოსი იყო, მაგრამ გვარიშვილობით-კი დაბალი, როგორმე აიყოლიებდა მოდის. მელივანის აზრით, არც თითონ მოდი იკადრებდა ასეთს საქმეს. ყურის დაგდება, დაკვრის მოწონება, გართობა—ეს ყველაფერი შეიძლებოდა, მაგრამ დამეგობრება და სიყვარული მათ შორის აბა რა მოსახერხებელი იყო? მოდი ისე უნდა უცქეროდეს მარაკჩის, როგორც გამგონე და მორჩილს მსახურს, რომელიც ყოველთვის მზად არის ბატონის ნება შეასრულოსო.

მარკიზი მელივანი დუბლინის ახლო თავის მამულში იყო და მარაკჩის მოელოდა. არტისტი გვიანობდა, იწერებოდა, მომითმინეთო. ისე ყოყმანობდა, თითქოს ლორდის ნახვისა ეშინიანო. ერთს დილას მარკიზმა დეპეშა მიიღო მარაკჩისაგან, ამა-და-ამ დღეს მოვალო. დაინახა თუ არა ეტლი ალაყაფის კარებში, მოდი გაფითრდა, აღელდა და თავის ოთახში მიიმალა დასამშვიდებლად. მარკიზი გამოეგება სტუმარს, მისალმა და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. სტენიომ არ ჩამოართვა, თავაზიანად დაუკრა თავი და მოახსენა:

— მარკიზო, ვიდრე თქვენს სახლში გიახლებოდეთ, უმორჩილესად გთხოვთ რამდენიმე წუთი დამითმოთ, რომ ერთ საყურადღებო საგანზე მოგელაპარაკოთ. მხოლოდ მაშინ მოგახსენებთ, დავრჩები თქვენსა, თუ არა.

განცვიფრებულმა მელივანმა გაკვირვებით შეხედა მარკაჩის ღ შეატყო, რომ მგზავრულად არ იყო ჩაცმული, თანაც ეტლში არაფერი ბარგი არა უჩანდა რა. ეტყობოდა, მარაკჩის იქ დარჩენა არა სწადდა. მარკიზს უნდოდა შეეტყო, რა ამბავიაო, და დარბაზში შეიწვია. 15 წუთს შემდეგ ორივენი უკან გამოვიდნენ. წინ მარაკჩი მოდიოდა, უკან მელივანი. სტენიო კიდევ მიუბრუნდა, დაუწყო თხოვნა, ხვეწნა, მაგრამ მარკიზმა პასუხის მაგიერად მწყრალად გაიღიმა და შინ შებრუნდა. ამ დროს ახალგაზრდა ქალმა ფარდა აჰხადა თავის სარკმელს, გამოიხედა, სტენიომ ხელით ანიშნა თავისი უბედურება, თავი დაუკრა ნიშნად გამომშვიდობებისა და ეტლში ჩაჯდა.

მოდი რამდენსამე დღეს თავის ოთახიდგან არ გამოსულა. ლაპარაკი დაიწყეს, გაქცაო; მართლაც და ცოტა ხნის შემდეგ მელივანი ინგლისში დაბრუნდა და თან მხოლოდ უმცროსი ქალი-ღა ჰყავდა.

ხმა გავარდა, უფროსი ქალი ავად გაუხდა და მკურნალების რჩევით ირლანდიაში გაგზავნა ჰაერისათვისაო. ვინც-კი შეხვდებოდა მელივანის დარდით სავსე პირი-სახეს, ყველა რწმუნდებოდა, რომ ეს ამბავი მართალი უნდა იყოსო. მაგრამ ამასთანავე ბევრნი იმასაც ლაპარაკობდნენ, რომ მოდი და მარაკჩი ერთად უნახავთ გერმანიაშიო. მარკიზის მახლობლებმა და ნათესავებმა რომ ყური მოჰკრეს ამ ხმას, მამას ურჩიეს, იზრუნე, რომ ასეთი ხმები არა ვრცელდებოდესო. მელივანმა ცივად მოისმინა რჩევა და ყრუდ უპასუხა.

— მოვილაპარაკოთ, მაგრამ იცოდეთ-კი, რომ უკანასკნელად-და ელაპარაკობ ჩემს მოდიზე. ის მართლა გაიქცა ჩემის სახლიდგან. კოვზეს ქალაქში ჯვარიც დაუწერიათ იმასა და მარაკჩის. ეხლა მოდი კანონიერი ცოლია იმისი. როცა ირლანდიაში ვიყავი, მარაკჩი მოვიდა და ურცხვის პირით ქალი მთხოვა. მე გამოვუცხადე, თავიდგან მომშორდი-მეთქი. ამაზედ ის მითხრა, რომ მე და შენს ქალს ერთმანეთი გვიყვარს და იმის თანხმობით მოვედიო. თანაც დაუმატა, მდიდარი ვარ, სახელიც მოვიპოვე და უარს ნუ მეტყვიო. მე მაინც უარი ვუთხარი და ისე გავისტუმრე. მოდი სასოწარკვეთილებას მიეცა და მუდმივ საყვედურს მეუბნებოდა. იმ უმგზავსს მთლად მოეხიბლა ჩემი ქალი. რამდენსამე დღეს მოდი ხმას არავისა გვცემდა, სულ ჩუმად იყო და ერთს ადგილს შესცქეროდა, თითქოს საიდუმლო ხმას უგდებს ყურსაო. მე მეგონა, თითონ ასწონ-დასწონდა, დაფიქრდებოდა და მიხვდებოდა, რომ იმასა და მარაკჩს შუა ხიდი იყო ჩატეხილი. უმცროს ქალსა და აღმზრდელს ვუთხარი, ყური უგდეთ, თავი არ დაანებოთ მეთქი, მაგრამ ერთ საღამოს მაინც გაპარულიყო. მეორე დღეს მისი ოთახი ცარიელი დაგვხვდა. მეც თავი დამანება, თავის დასაც, სახლსაც, სადაც იმის დედამ სული დალია, და იმ მაწანწალას-კი გამოუდგა უკან.

ლორდ მელივანს ყელში სისხლი მოაწვა, გაჩუმდა და თვალებზე ხელი მიიფარა.

— ყველას ვუბრძანე, ამას იქით მოდის სახელი აღარავინ ახსენოს ჩემთან. მე არც მარაკჩის ვიცნობ, არც იმის ცოლს. მხოლოდ ერთი ქალი-ღა მყავს!.. მკითხეთ და მეც მართალი მოგახსენეთ.

ს. გძელიშვილი

(შემდეგი იქნება)

გენცოლლერნის სახლისანი ყოველთვის თავის მოვალეობად ჰრაცხდნენ განკურნებას ქვეყნის ტკივილებისას. შესაძლებელია, რომ ამ კეთილს განზრახვას ბევრი არ დააფასებს ღირსებისამებრ და ბევრს მადასაც გაულევიძებს უჯეროდ. მაგრამ ასეთი «შესაძლებელია» წინადაც იყო, მაგრამ შიში-კი არ გამართლდა პრუსიაში. იმ აზრს, რომ ვითომ შეიძლება კეთილი თესლი უნაყოფოსა და მწირს ალაგას დაეცესო, არას დროს ხელი არ შეუშლია პრუსიის მეფისათვის ეკეთებინა ის, რის გაკეთებასაც სინიდისი და საქმის გაგება ავალებს.

„სახელმწიფოს ვალად სძევს მიეშველოს შეჭირვებულსა და ტანჯულს. ამ მოვალეობის შესრულებას წინ ვერ გადაელობება ის საფრთხოებელი, რომელსაც გამოჰფენენ ხოლმე ყოველთვის, როცა ჩამოვარდება ლაპარაკი რეფორმების შესახებ, ანუ არსებულის წეს-წყობილების შეცვლის თაობაზე. იგი მოვალეობა თვით საჭიროებაა ძლიერისა და შემძლებელის სახელმწიფოსათვის. იმპერატორი და მეფე აღიარებს ამ საჭიროებას ისე, როგორც აღიარებენ ხოლმე მისნი წინა მოადგილენი. ძლიერება სახელმწიფოსი, რომლის გამგეობის სადავე იმას უპყრია ხელში, მოახერხებს და წინააღუდგება იმათ, ვისაც ამ შემთხვევაში უნდათ თავიანთ კერძო და საკუთარის სარგებლობისათვის გამოიგონონ რამე. მაგრამ საქმის გადაწყვეტა თხოულობს საზოგადოების დახმარებასა და ყველა იმ ცხოველის ძალისას, რითაც სცოცხლობს და სულს იბრუნებს იგი საზოგადოება, ესე იგი სკოლისასა და ეკკლესიისას. ითხოვს აგრეთვე დახმარებას ყველა საპოლიტიკო დასისას. რადგან საზოგადოებაში დიდს შიშსა ჰბადავს სოციალიზმი და აზრები სოციალ-დემოკრატიისა და რადგან მართლა დიდი ფათერაკია მოსალოდნელი, უკეთუ თავისუფლად იარა სოციალიზმა, ამიტომ ყველა დასი უნდა შეერთდეს, ერთმანეთს მხარი მისცენ, დაივიწყონ ძველი შუღლი და მტრობა, დაუტევონ ზრუნვა პირველობისა პოლიტიკაში და შემოეხვივნენ გარშემო იმას, ვინც დამცველია და დამფარველი ყველასი, ვინც მოსილია ძლიერისა და დიდებულის გვირგვინით.

„საზოგადოება ჰგავს სასწორსა, რომელიც ხელში უჭირავს მონარხს. მონარხმა ხან ერთს თემს უნდა მიუმატოს სიმძიმე, ხან მეორეს, რათა გაასწოროს სასწორი, როცა იგი ტოკვას დაიწყებს. მხოლოდ უზენაესს ხელმწიფობას შეუძლიან იტვირთოს ასეთი საქმე. პარლამენტის მოვალეობა უფრო ის არის, რომ შეეწიოს მეფეს, როცა იგი სცდილობს დაიცვას მშვიდობა საზოგადოებაში და იყოს უანგარო მისი თანაშემწე, როცა იგი ამყარებს სიმართლეს გათანაბრებისას და სცდილობს განკურნებას საზოგადოების ტკივილებისას. როცა ყოველივე ეს ძალა იმოქმედებს ერთად, სოციალურს რეფორმას შეუძლიან, უთუოდ შეიძლებს სიკეთის დათესვას, ხოლო სოციალიზმს-კი ფეხ-ქვეშ ნიადაგს გამოაცლის".

## წვრილი ამბები

პეტერბურგში ერთს უბრალო ხელოსანს გაუკეთებია ირყის ხის საათი. საათი ფრიად ხელოვნურად არის მოწყობილი და სწორედაც დადის.

— გერმანიაში მოუგონიათ ხისაგან ძაფების კეთების საშუალება. ხეს გოგირდის სიმჟავეს დაასხამენ და ამით ალბობენ და მერე დაუდებენ სართავს მანქანას, რომელსაც მშვენიერი წვრილი ძაფები გამოჰქავს. ამ გვარად მალე ხის მაუდსაც ვეღირსებით.

— ბერლინში გამოსულა ახლა პატარა წიგნაკი უცნობის ავტორისა ამ სათაურით: „იგი (ვითომ-და ბისმარკიო) გამოვიდა და რა მოხდება ამას იქით?" ეს წიგნაკი გერმანიის ეხლანდელს მმიმე და საყურადღებო საქმეებს შეეხება და დიდი აღიაქოთი ასტეხა თურმე მთელს გერმანიაში. ამბობენ, ავტორი თვით იმპერატორი ვილჰელმი არისო. ამ წიგნაკში სხვათა შორის სწერია, იმპერატორმა ბისმარკი იმიტომ დაითხოვა, რომ რა საპოლიტიკო ხერხიც იმისაგან ისწავლა, საკმაო იყო და მეტს აღარაფერს გამოელოდაო. დღეს კანცლერი მხოლოდ ბძანების აღმასრულებელი იქმნება და მბძანებელი-კი თვით იმპერატორი. იგი მომხრეა ლასსალის თეორიისა სოციალურ რეფორმების შესახებ. ამიტომ მუშათა საქმის მოთავეებად სოციალისტები აღარ იქმნებიან, რადგანაც მათი საქმე თვით იმპერატორმა ჩაიგდო ხელშიო. იმპერატორს დიდი უპირატესობა ექმნება სოციალისტებზე, რადგან ესენი მხოლოდ სხვა-და-სხვა დაპირებით იბირებდნენ მუშებს და იმპერატორს-კი შეძლება ექმნება, თავისი სურვილი საქმედ აქციოსო. თუ იმპერატორმა თავის განზრახვა შეასრულა, მაშინ სოციალიზმი უსულო და მკვდარი დაეცემა მისთა ფეხთა წინაშე.

— ქალაქს ედგერტონში ქალაქის მოურავად, მსაჯულად, ქალაქის საბჭოს და პოლიციის გამგეობის წევრებად ქალები ამოურჩევიათ.

— ჩრდილო-ამერიკის შტატების პალატამ მიიღო და ახლა სენატში წარდგენილია განსახილველად იმის კანონპროექტი, რომ ამერიკაში აღარ დაუყენოთ ჩინელები, სულ ერთია, თუნდა სწავლული იყოს, თუნდ გაჭარი და თუნდა მუშა-კაციო.

— ლონდონში მუშებს განუზრახავთ 4 მაისს მანიფესტაცია მოახდინონ.

— მეზბურგს ახლო ერთს ახალგაზრდა აფიცერს დაუფრთხა თურმე მშვენიერი ბედაური ცხენი, თავი ვეღარ დაუჭირა, გაუჭენდა მდინარე უნტრუტისკენ, სადაც გემები და ნავები იდგა და სადაც მხედრის ცხენითურთ დაღუპვა აუცილებელი უნდა ყოფილიყო. აფიცერმა ვეღარ მოახერხა გადმოხტარიყო ერთს უშიშარს ალაგას და მერე-კი იმისთანა ოღრო-ჩოღრო გზები დაუხვდა, რომ ცხენიდგან ჩამოხტომა უოვლად შეუძლებელი იყო. აგერ უნდა მივარდეს ბედისაგან განწირული ცხენი წყლის ნაპირს და უნდა შთაინთქას და დაიღუპოს წყალში გემსა და მდინარის ნაპირს შუა, მაგრამ უცბად ხმალმა იელვა ჭაერში და გაუპო ცხენს შუაზე თავი, პირუტყვი უკანა ფეხებზე დადგა და იქვე უსულოდ დაეცა. აფიცერმა მხოლოდ უკანასკნელს წუთს მოჰკლა თავისი საყვარელი ცხენი, რადგან უამისოდ სიკვდილს ველარ გადაურჩებოდა.

## დეპეშა

7 აპრილი

პეტერბურგი. დიდმა მთავრინამ ალექსანდრა გეორგის ასულმა გუშინ საღამოს მშვიდობით მოილოგინა და ეყოლა ქალი, ახლად დაბადებულს სახელი ეწოდა მარიამი.

საცენზურო წესდებულების 121 მუხლის ძალით გაზეთ „Rigasche Zeitung"-ის გამოცემა სამუდამოდ მოსპობილი იქმნა.

„Нов. Вр." იუწყება, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის პროექტი იმ ღონის-ძიებათა, რომელთაც საგნად ექმნება ფეხზედ დაყენება შინა ხელ-საქმობისა. ამ ღონისძიებათა შორის ახსენებენ ბანკების დაარსებას შინა ხელ საქმობის აღორძინებისათვის.

«Новости» იუწყება, რომ ამ დღეებში დაუმტკიცებიათ წესდებულება პეტერბურგის ლოთობის მოწინააღმდეგეთა საზოგადოებისა. საზოგადოება გამართავს ჩაის სასმელ და სადილის საჭმელ ოთახებს, საკითხველოებს და საკურნალოებს ლოთებისათვის; აგრეთვე საზოგადოება ეცდება გაავრცელოს ხალხში წიგნაკები ზნეობრივის შინაარსისა, გამართოს საუბარი და სხვა-და-სხვა გასართობი, რომ შეამციროს, ან სრულიად მოსპოს ხალხში ლოთობა. საზოგადოების წევრნი, რათა სხვებს მაგალითი უჩვენონ, თვითონ არ უნდა სვამდნენ მაგარ სასმელებს.

ასხაბადი. აქ მობრძანებულ იტალიის მემკვიდრე პრინცს ვოგზალზე მიეგებნენ: იმიერ-კასპიის მხრის უფროსი გენ.-ლეიტ. კომაროვი და მრავალი ხალხი. საუზმის შემდეგ იმიერ-კასპიის მხრის უფროსთან პრინცმა დაათვალიერა ქალაქი და ძეგლი, აგებული გეოგ-თეფეში დახოცილ გმირთათვის და აგრეთვე ის ოთხი ინგლისის ზარბაზანი, რომელიც რუსის ჯარმა წაართვა ავღანელებს კუშკის ბრძოლაში. ნასადილევს სამს საათზე პრინცი დაესწრო მანევრებზედ, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა: იმიერ-კასპიის მხრის მსროლელთა ბატალიონებმა, არტილერიამ, ყაზახებმა და თურქმენების ცხენოსანმა მილიციამ. სოფელ ქოშში, ასხაბადის ახლო, პრინცმა დაათვალიერა თურქმენთა მილიციის ალაჩუღები. სოფლის ბაღში პრინცმა ჩაი მიირთვა, მუხლ-მოკეცით იჯდა ხალიჩაზედ, ისმენდა მუსიკას და თექელთა სიმღერას; იხილა ბავშვების მიერ სროლა მშვილდ-ისრისა და ჯირითი თექელთა. საღამოს რვა საათზედ პრინცი წაბძანდა იმიერ-კასპიის მხრის უფროსითურთ ტედჟენის სადგურის სანახავად.

სოფია. ბელგრადიდან მოვიდა ამბავი, რომ ნიშში სდგება ბრბო დაბალის ხარისხის ბოლგარელ და მაკედონელ გავარდნილ კაცთა. ამ ბრბოს სწადიან შეესიოს ბოლგარეთში და მოჰკლას სტამბულოვიო.

პეტერბურგის ბირჟა, 6 აპრილი.

| | მყიდველნი. | გამყიდველ-ნისა. | გაყიდულ-ფასისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 7 30 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 145 1/2 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | 220 3/4 |
| — მეორისა | — „ | — „ | 216 1/4 |
| — მესამისა | — „ | — „ | 217 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 86 87 |
| ქუთაისის ბანკისა | 99 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 99 | — „ | — „ |


# განცხადებანი

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ვყიდოთ ჩვენი.

## საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიზეზ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის უუთის მსგავსს უუთში გაკეთებულს.

— შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება

(26—11)

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

## თხზულებანი

რ. ერისთავისა, ნაწ. II, ლექსები

გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა"

ფასი 40 კაპ.

(5—5)

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის"

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმისოდ:

## ვერმორელის პარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), ტყავის საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (СѢРНЫЙ ЦВѢТЪ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმისოდ".

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—5)

საწყობი

## მ. ადელხანოვისა და ამხ.

ფაბრიკისა და ქარხნის საქონლისა

ერევნის მოედნისა და შუა ბაზრის კუთხეში, სახლი გენერალ ტერ-ასატუროვისეული.

მზა ფეხსაცმელები მამრთა და მდედრთათვის ახალის სხვა-და-სხვა ფასონისა ისყიდება წვრილ-წვრილად იმავე ფასად, როგორც ფაბრიკებში.

ტყავის საქონელი: სამოკვე (ЮФТЬ) თეთრი და შავი, ყოველგვარ ხარისხის ცხენის ტყავი, თალათინები (აპოიკები), მეშები (საფიანები), კუმუხტები (შაგრენები), დაჭიმული სამოკვე (ЮФТОВЫЯ ВЫТЯЖКИ), ნახევრად მოთელილი ტყავის საქონელი (ПОЛУВАЛЫ), ფეხსაცმელის ძირები ანუ ლანჩები (პადოშვები), საუნაგირე და მოუქნელი ტყავები (СЫРО-МЯТНЫЯ КОЖИ).

მოთელილ ნაბდების საქონელი

ყველა ხარისხის მოთელილი ნაბადი და ლეკური ნაბდები.

უმთავრესი კანტორა ტყავების ქარხნისა იმყოფება: ტფილისში, ერევნის გზა-ტკეცილზე, საკუთარს სახლში.

10—5

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე,, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის, გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

## „დ ა ნ ი ა"

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზითა და პატივის ცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. }
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—11) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე


Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე